აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო
კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №27

11 ივნისი2004წ. ქ. ბათუმი

**ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის
დამტკიცების თაობაზე**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშის მიხედვით:

1. საუბნო საარჩევნო კომისიაში შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმის ფორმა (ფორმა №9-1.01.01.);
2.კენჭისყრის შედეგების საუბნო შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შესახებ განკარგულების ფორმა (ფორმა №2-4.01.20).

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე